ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N30

14.12.2023 წელი
14:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 14 დეკემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ირაკლი ხელაძე** (კომისიის წევრი) და **მარიამ ზაქარიაშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032334259-03, 08.12.2023წ.);*
   მომხსენებელი -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა, გადამუშავების შედეგად, განისაზღვრა **1 763 354,7** ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632 132,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია **131 222,1** ათასი ლარით, ხოლო 2024 წლის თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 700 912,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია **62 442,3** ათასი ლარით. აღნიშნული განპირობებულია საკუთარი

შემოსულობების დაზუსტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერით 60,000.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობის შემცირებით 145.4 ათასი ლარით, 2,000.0 ათასი ლარით თბილისის ავტობუსების პროექტისა (ფაზა II) (EBRD) და თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტისთვის. გარდა ამისა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტისგან განსხვავებით, წარმოდგენილ პროექტში განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 465.3 ათასი ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ). ასევე, დაზუსტდა სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობა 122.4 ათასი ლარით და განისაზღვრა - 280,683.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 567 498,1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 267 969,4 ათასი ლარი; 2 ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 221 611,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 153,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 796,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 920,1 ათასი ლარი; განათლება - 248 047,1 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 297,0 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 219 527,4 ათასი ლარი.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - პრიორიტეტის ფარგლებში 2024 წელს გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდება დიდ დიღომში და ვარკეთილში მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების, მშენებლობა და აღჭურვა. სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი დაიწყება, რაც 2023 წელს დაინერგა. ასევე, გათვალისწინებულია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა. რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებების ფარგლებში 2024 წელს მოეწყობა 5 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 87-ზე მეტ სპორტულ მოედანს. სხვადასხვა მისამართზე მოეწყობა ფიტნეს ტრენაჟორები. გაგრძელდება სოციალური მხარდაჭერის პროგრამები უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში და ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში. პროგრამით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში, კვლავ განხორციელდება რაიონის ტერიტორიის ფარგლებში ეროვნული თუ ადგილობრივი დღესასწაულების, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, საუბნო ჩემპიონატების, ფესტივალების, კონკურსებისა და გამოფენების დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ირაკლი ხელაძე, მარიამ ზაქარიაშვილი - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე